აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარის

განკარგულება №23/2004

31.05.2004 წ. **ქ.ბათუმი**

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის
უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვადგენ:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება ხელვაჩაურის №83/5 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს გია რუხაძეს პირადი განცხადების საფუძველზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
3. ეს განკარგულება ამოქმედდეს დაუყოვნებლივ.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა